კლიენტების მომსახურების რეგლამენტის დანართი N **30**
დამტკიცებულია შპს „რიონი კაპიტალის“ დირექტორის
_____ ბადრი გობეჩიას
«08» აგვისტო 2025 წლის ბრძანებით № 01-17

საბროკერო კომპანია “რიონი კაპიტალის” პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა

თბილისი
2025

თავსართი

გვ.

1. ზოგადი დებულება 3
2. ტერმინები და განმარტებები 3
3. ფარგლები და მიზანი 4
4. ზოგადი პრინციპები 5
5. ვალდებულებები და პასუხისმგებლობა 6
6. პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი 7
7. დამუშავების ოპერაციები და საშუალებები 7
8. პერსონალურ მონაცემთა მიმღებთა კატეგორიები 7
9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები 8
10. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები 8
11. პერსონალური მონაცემების მიწოდების მოთხოვნები 9
12. პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობების შეცვლა 9
13. პოლიტიკის გადახედვა 9

პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები 10

1. ზოგადი დებულება

1.1. წინამდებარე პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკა (შემდგომში - „პოლიტიკა“) განსაზღვრავს შპს „Rioni Capital“-ის (შემდგომში - „კომპანია“) მიერ პერსონალური მონაცემების დამუშავების პრინციპებს, პირობებსა და წესებს, მათ შორის მონაცემთა სუბიექტთა უფლებებსა და კომპანიის ვალდებულებებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში.

1.2. პოლიტიკა შემუშავებულია და გამოიყენება **საქართველოს კანონმდებლობის** მოთხოვნებისა და ვალდებულებების შესაბამისად, მათ შორის:

- **საქართველოს კანონი** №3144-XIმს-Xმპ (2023 წლის 14 ივნისი) „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“;
- კომპანიის საქმიანობაზე გავრცელებული სხვა შესაბამისი ნორმატიული აქტები (მათ შორის, ფინანსურ სექტორში მოქმედი მოთხოვნები), რამდენადაც ისინი ეხება პერსონალური მონაცემების დამუშავებას/დაცვას.

იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანიის საქმიანობის, კლიენტთა გეოგრაფიის ან კონტრაქტული ურთიერთობების სპეციფიკიდან გამომდინარე GDPR-ის (Regulation (EU) 2016/679) მოთხოვნები დამატებით შეიძლება იყოს რელევანტური, კომპანია ითვალისწინებს GDPR-ის შესაბამის სტანდარტებს ისე, რომ არ დაირღვეს პოლიტიკის ერთიანობა და მისი თანაბარი გამოყენება კლიენტებისა და მონაცემთა სუბიექტების მიმართ.

1.3. პოლიტიკა ვრცელდება კომპანიის ყველა თანამშრომელზე, წარმომადგენელზე, კონტრაქტორზე და კლიენტზე (მათ შორის პოტენციურ კლიენტებზე), რომელთა პერსონალური მონაცემების დამუშავებას კომპანია ახორციელებს კანონით დასაშვები საფუძვლებით.

2. ტერმინები და განმარტებები

2.1. **კლიენტი / მომხმარებელი** - ნიშნავს ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს, რომლისგანაც ან რომლის სახელითაც კომპანია იღებს, ფლობს ან ინახავს ფულად სახსრებს ან ფასიან ქაღალდებს აღნიშნული პირის ანგარიშზე.

2.2. **პერსონალური მონაცემები (Personal Data)** - ნიშნავს ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია იდენტიფიცირებულ ან იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირთან (მონაცემთა სუბიექტთან); იდენტიფიცირებად ფიზიკურ პირზე მიეთითება, როცა შესაძლებელია მისი პირდაპირი ან ირიბი იდენტიფიცირება, განსაკუთრებით ისეთი იდენტიფიკატორების საშუალებით, როგორებიცაა - სახელი, საიდენტიფიკაციო ნომერი, მდებარეობის მონაცემები, ონლაინ იდენტიფიკატორი ან ერთი ან რამდენიმე ფაქტორი, რომლებიც ახასიათებს ამ პირის ფიზიკურ, ფიზიოლოგიურ, გენეტიკურ, მენტალურ, ეკონომიკურ, კულტურულ ან სოციალურ იდენტობას.

2.3. მონაცემთა დამუშავება (Data Processing) - ნიშნავს ნებისმიერ ოპერაციას ან ოპერაციების ერთობლიობას, რომელიც ხორციელდება პერსონალურ მონაცემებზე ან მათ ერთობლიობაზე ავტომატიზებული ან არაავტომატიზებული საშუალებებით, მათ შორის: მონაცემთა შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, კორექტირება ან ცვლილება, მოძიება, გამოკითხვა, გამოყენება, გადაცემა ან გავრცელება, ხელმისაწვდომობის მინიჭება, დასწორება ან კომბინირება, შეზღუდვა, წაშლა ან განადგურება.

2.4. მონაცემთა სუბიექტი (Data Subject) - არის ინდივიდი, რომლის შესახებაც მუშავდება პერსონალური მონაცემები. ეს მოიცავს პარტნიორობებს და ინდივიდთა ჯგუფებსაც, თუმცა არ ვრცელდება იურიდიულ პირებზე. მოცემული პოლიტიკის ფარგლებში, ყველა კლიენტი და თანამშრომელი განიხილება როგორც მონაცემთა სუბიექტი.

2.5. მონაცემთა კონტროლერი (Data Controller) - პირი, რომელიც (მარტო ან სხვა პირთან ერთად) განსაზღვრავს პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნებსა და მეთოდებს.

2.6. მონაცემთა დამმუშავებელი (Data Processor) - ნებისმიერი პირი (გარდა კომპანიის თანამშრომლისა), რომელიც კომპანიის სახელით ახორციელებს მონაცემთა დამუშავებას.

2.7. ტერმინები რომლებიც არ არის მოყვანილი ამ თავში, გამოიყენება კომპანიის გლოსარში მოყვანილ მნიშვნელობით, ან საქართველოს კანონის №3144-XIმს-Xმპ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ შესაბამისად, ხოლო ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეროვნული კანონი არ არეგულირებს კონკრეტულ ტერმინს, გამოიყენება GDPR-ის (Regulation (EU) 2016/679) განმარტებები.

3. ფარგლები და მიზანი

3.1. პოლიტიკის მიზანია განმარტოს კომპანიის მიერ პერსონალური მონაცემებისა და სპეციალური კატეგორიის მონაცემების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) დამუშავების პირობები, საფუძვლები და პრინციპები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად..

3.2. პერსონალური მონაცემების დამუშავების ძირითადი მიზნები მოიცავს:

- **a.** კლიენტთან ხელშეკრულების დადებას/შესრულებას;
- **b.** კომპანიისთვის დაკისრებული **იურიდიული ვალდებულებების შესრულებას** (მათ შორის შესაბამისი მარეგულირებელი/სამეთვალყურეო მოთხოვნების შესრულებას);
- **c.** კომპანიის ან მესამე პირის კანონიერი ინტერესების განხორციელებას (მაგალითად: მომსახურების უსაფრთხოება, თაღლითობის პრევენცია,

დავების/სარჩელების წარმოება და დაცვა, მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება, კანონით დასაშვები მარკეტინგი).

3.3. კომპანია უფლებამოსილია დაამუშაოს მონაცემები სხვა მიზნებისთვისაც, თუ ეს დაშვებულია კანონით და მონაცემთა სუბიექტს მიეწოდება შესაბამისი ინფორმაცია.

3.4. დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები დამატებით შეიძლება იყოს გაწერილი დანართში/შეტყობინებაში **მიმაგრებულ დანართში №1**.

3.5. პოლიტიკა მოიცავს როგორც პერსონალურ, ისე სპეციალური კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს (GDPR-ის 4-ე მუხლით განსაზღვრულს), რომლებიც კომპანიას გააჩნია მონაცემთა სუბიექტებთან დაკავშირებით.

პოლიტიკა ვრცელდება როგორც ავტომატიზებულ, ისე არავტომატიზებულ დამუშავებაზე.

4. ზოგადი პრინციპები

4.1. კომპანია ამუშავებს მონაცემებს იმ ფიზიკურ პირებთან მიმართებით, რომლებიც არიან კლიენტები/პოტენციური კლიენტები, კლიენტთა წარმომადგენლები, სარგებლიანი მესაკუთრეები, დირექტორები, უფლებამოსილი პირები და სხვა დაკავშირებული პირები - რამდენადაც ეს აუცილებელია მიზნებისთვის.

4.2. პერსონალურ მონაცემებად მიიჩნევა ყველა ის ინფორმაცია, რომელიც კომპანიამ მიიღო თავისი კლიენტებისგან, მესამე პირებისგან ან საჯაროდ ხელმისაწვდომი წყაროებიდან კანონიერ საფუძველზე, მათ შორის, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

- მონაცემები კითხვარებიდან და სხვა შევსებადი ფორმებიდან;
- მონაცემები საკუთრებაზე, საკუთრების უფლებებსა და ვალდებულებებზე;
- ხელშეკრულებების მონაცემები (მათ შორის სახელწოდება, ნომერი და დადების თარიღი);
- ანგარიშების მონაცემები, რომლებიც გახსნილია კომპანიაში ან მესამე პირებთან;
- ინფორმაცია ოპერაციებსა და გარიგებებზე, რომლებიც განხორციელებულია კლიენტის მიერ ან კლიენტის სახელით ან სასარგებლოდ;
- ასევე შემდგომში მიღებული (განახლებული ან შეცვლილი) მონაცემები, რომლებიც კომპანიას მიეწოდება.

4.3. ყველა პერსონალური მონაცემის დამუშავება ხორციელდება შემდეგი პრინციპების დაცვის საფუძველზე:

- **კანონიერება, სამართლიანობა და გამჭვირვალობა** - პერსონალური მონაცემები მუშავდება კანონიერად, სამართლიანად და გამჭვირვალედ მონაცემთა სუბიექტის მიმართ;

- **მიზნობრიობის შეზღუდვა** - მონაცემები გროვდება კონკრეტული, მკაფიო და ლეგიტიმური მიზნებისთვის და არ ექვემდებარება შემდგომ დამუშავებას ამ მიზნებთან შეუთავსებლად; თუმცა შემდგომი დამუშავება არქივირების, საზოგადოებრივი ინტერესის, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისთვის არ ითვლება შეუსაბამოდ (მონაცემთა დამუშავების პრინციპები განისაზღვრება საქართველოს კანონის №3144-XIმს-Xმპ-ის 5-ე მუხლის შესაბამისად);
- **მონაცემთა მინიმიზაცია** - მონაცემები უნდა იყოს ადეკვატური, შესაბამისი და შეზღუდული მხოლოდ იმ მოცულობით, რაც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნებისთვის;
- **სიზუსტე** - მონაცემები უნდა იყოს ზუსტი და, საჭიროების შემთხვევაში, განახლებული; ყველა გონივრული ზომა უნდა იყოს მიღებული, რომ არაზუსტი მონაცემები წაიშალოს ან გასწორდეს დაუყოვნებლივ;
- **შენახვის ვადის შეზღუდვა** - მონაცემები ინახება იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მათი დამუშავების მიზნებისთვის; უფრო ხანგრძლივი შენახვა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ამას მოითხოვს მოქმედი კანონმდებლობა, შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული დაცვის ზომების განხორციელებით;
- **მთლიანობა და კონფიდენციალობა** - მონაცემები მუშავდება ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს მათი უსაფრთხოება, მათ შორის არასანქცირებული ან უკანონო დამუშავებისგან, შემთხვევითი დაკარგვის, განადგურების ან დაზიანებისგან დაცვა, შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გამოყენებით.

5. ვალდებულებები და პასუხისმგებლობა

5.1. კომპანია იღებს ვალდებულებას დაიცვას საქართველოს კანონმდებლობა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ და უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტთა უფლებების რეალიზება კანონით დადგენილი წესით.

5.2. კომპანია ნერგავს შესაბამის ტექნიკურ და ორგანიზაციულ ზომებს მონაცემთა უსაფრთხოებისთვის.

5.3. პერსონალურ მონაცემებთან მომუშავე თანამშრომლები/დეპარტამენტები პასუხისმგებელნი არიან ამ პოლიტიკის და შიდა პროცედურების დაცვაზე.

5.4. საჭიროების შემთხვევაში კომპანია ნიშნავს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერს (DPO)** კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

5.5. კომპანიის ყველა თანამშრომელი ვალდებულია დაიცვას მოცემული **პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის** დებულებები და იმოქმედოს მის მოთხოვნებთან სრული შესაბამისობით.

6. პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივი საფუძველი

6.1. ერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობით დაშვებული სამართლებრივი საფუძვლებით (მაგ., ხელშეკრულება, იურიდიული ვალდებულება, კანონიერი ინტერესი, თანხმობა - როდესაც საჭიროა).

6.2. როდესაც დამუშავება ეფუძნება კანონიერ ინტერესს, კომპანია უზრუნველყოფს ინტერესთა ბალანსის შეფასებას და მონაცემთა სუბიექტს აქვს უფლება კანონით დადგენილი წესით გააპროტესტოს შესაბამისი დამუშავება.

7. დამუშავების ოპერაციები და საშუალებები

7.1. მონაცემთა დამუშავების ოპერაციებად მიიჩნევა შემდეგი მოქმედებები: პერსონალური მონაცემების შეგროვება, ჩაწერა, ორგანიზება, სტრუქტურირება, შენახვა, ადაპტირება ან შეცვლა, მოძიება, გამოკითხვა, გამოყენება, გადაცემა, გავრცელება ან სხვა ფორმით ხელმისაწვდომად გადაცემა, მონაცემთა შესწორება ან გაერთიანება, შეზღუდვა, წაშლა, განადგურება - ან ნებისმიერი სხვა ოპერაცია, რომელიც ხორციელდება მონაცემთა დამუშავების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად.

7.2. პერსონალური მონაცემების დამუშავება შეიძლება განხორციელდეს **ავტომატიზებული ან არაავტომატიზებული საშუალებებით**. ინფორმაციის დამუშავება მიმდინარეობს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ზომების დაცვით.

8. პერსონალურ მონაცემთა მიმღებთა კატეგორიები

8.1. პერსონალურ მონაცემთა შესაძლო მიმღებთა შორის შეიძლება შედიოდეს შემდეგი კატეგორიის პირები:

- მესამე პირები, რომლებიც ჩართულნი არიან მონაცემთა სუბიექტის მომსახურებაში - მათ შორის **ბროკერები, კასტოდიანები, დეპოზიტარები, ბანკები, სავაჭრო პლატფორმები** (მათ შორის მესამე ქვეყნების სავაჭრო პლატფორმები), პროგრამული უზრუნველყოფისა და საბაზრო მონაცემების მომწოდებლები, საქართველოს და მესამე ქვეყნების კომპეტენტური ორგანოები;
- ნებისმიერი პირი, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს **აუდიტი ან ანალოგიური ტიპის კონტროლი** კომპანიის ან მესამე პირების საქმიანობაზე, რომლებიც ჩართულნი არიან მონაცემთა სუბიექტის მომსახურებასა და მარკეტინგში - როგორც საქართველოში, ასევე მის ფარგლებს გარეთ.

8.2. ტრანსსასაზღვრო მონაცემთა გადაცემა ხორციელდება საქართველოს კანონი №3144-XIმს-Xმპ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“–ის 37-ე მუხლის საფუძველზე. პერსონალური მონაცემების გადაცემა თავისუფლად შეიძლება იმ ქვეყნებში,

რომლებიც შეტანილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ გამოქვეყნებულ ადეკვატური დაცვის მქონე ქვეყნების ოფიციალურ სიაში.

8.3. თუ მიმღები ქვეყანა არ შედის ადეკვატური დაცვის მქონე ქვეყნების ოფიციალურ სიაში, გადაცემისას კომპანია უზრუნველყოფს შესაბამის სამართლებრივ/საკონტრაქტო და ორგანიზაციულ-ტექნიკურ გარანტიებს; საჭიროების შემთხვევაში - პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ნებართვის არსებობას/მოთხოვნის გათვალისწინებას.

9. მონაცემთა სუბიექტის უფლებები

9.1. მონაცემთა სუბიექტი სარგებლობს უფლებებით **საქართველოს კანონმდებლობის** შესაბამისად. იმ შემთხვევებში, როდესაც GDPR დამატებით შეიძლება იყოს რელევანტური, კომპანია უზრუნველყოფს GDPR-ის შესაბამის სტანდარტებსაც, რამდენადაც ეს არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

9.2. თანხმობის გაწვევის უფლება - როდესაც დამუშავება ეფუძნება თანხმობას, მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მისი გაწვევა; გაწვევა არ მოქმედებს გაწვევამდე განხორციელებული დამუშავების კანონიერებაზე.

9.3. წვდომის უფლება - მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია მისი მონაცემების დამუშავებაზე და ასლი კანონით დადგენილი წესით.

9.4. გასწორების უფლება - არაზუსტი მონაცემების გასწორება/შევსება კანონით დადგენილი წესით.

9.5. წაშლის უფლება - მონაცემთა სუბიექტს შეუძლია მოითხოვოს წაშლა, თუ არ არსებობს კანონით გათვალისწინებული საფუძველი მონაცემთა შემდგომი შენახვისთვის.

9.6. დამუშავების შეზღუდვის უფლება - კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

9.7. წინააღმდეგობის უფლება - კანონით განსაზღვრულ საფუძვლებზე, მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის წინააღმდეგ (თუ გამოყენებადია).

9.8. საჩივრის უფლება - მონაცემთა სუბიექტს უფლება აქვს მიმართოს **პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს** ან სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

10. პერსონალური მონაცემების შენახვის ვადები

10.1. კომპანია ინახავს პერსონალურ მონაცემებს იმ ვადით, რომელიც აუცილებელია დამუშავების მიზნებისთვის და კანონით/რეგულაციით დადგენილი ვალდებულებების შესასრულებლად.

10.2. შენახვის კონკრეტული ვადები განისაზღვრება:

- ხელშეკრულებითი ურთიერთობის ხასიათით;
- კომპანიის მარეგულირებელი/კომპლაიანს ვალდებულებებით (მაგ., AML/KYC დოკუმენტაცია, ანგარიშგება, დავების/სარჩელების დაცვა);
- კანონით დადგენილი ხანდაზმულობის/დამტკიცების მოთხოვნებით და სხვა.

11. პერსონალური მონაცემების მიწოდების მოთხოვნები

11.1. მონაცემთა უმეტესობა მიეწოდება კომპანიას კითხვარების/ფორმების შევსებით და KYC/AML პროცესის ფარგლებში.

11.2. ერთი და იგივე მონაცემი ხშირად საჭიროა როგორც ხელშეკრულების შესასრულებლად, ასევე იურიდიული ვალდებულებების დასაკმაყოფილებლად.

11.3. მონაცემების მიუწოდებლობის შედეგი შეიძლება იყოს კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების დადებაზე უარი ან მომსახურების შეზღუდვა/შეწყვეტა კანონით დასაშვებ ფარგლებში.

12. პერსონალური მონაცემების დამუშავების პირობების შეცვლა

12.1. კომპანია უფლებამოსილია შეცვალოს პოლიტიკა ცალმხრივად, ახალი რედაქციის გამოქვეყნებით კომპანიის ოფიციალურ ვებსაიტზე: https://rioni-capital.ge/ ცვლილებები ძალაში შედის გამოქვეყნების დღიდან ან პოლიტიკაში მითითებული თარიღიდან.

13. პოლიტიკის გადახედვა

13.1. პოლიტიკა გადაიხედება ყოველწლიურად ან მნიშვნელოვანი ცვლილების შემთხვევაში, რომელიც გავლენას ახდენს მონაცემთა დაცვის პროცედურებზე, პრინციპებსა და ვალდებულებებზე.

დანართი №1.

პერსონალური მონაცემების დამუშავების მიზნები და სამართლებრივი საფუძვლები

№	პერსონალური მონაცემები / კონკრეტული ოპერაცია	მიზანი	სამართლებრივი საფუძველი
1	მონაცემები, მითითებული ფორმებში და ანკეტებში, მათ შორის ფორმა W-8BEN, ასევე მონაცემები, მიღებული საინვესტიციო და შესაბამისი მომსახურების პირობებში დადებული ხელშეკრულების შედეგად, და სხვა შეთანხმებები, რომლებიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულების დადებასა და შესრულებასთან (მათ შორის ტრანზაქციები და ოპერაციები, განხორციელებული კომპანიის მეშვეობით ან კომპანიასთან).	ხელშეკრულების დადება და/ან შესრულება, რომლის მხარეც არის სუბიექტი (კლიენტი) – საინვესტიციო და შესაბამისი მომსახურების გაწევა, აგრეთვე სხვა შეთანხმებები, დაკავშირებული მათი შესრულებასთან.	დამუშავება აუცილებელია ხელშეკრულების შესრულებისთვის, რომლის მხარეც არის სუბიექტი, ან სუბიექტის მოთხოვნის საფუძველზე ხელშეკრულების დადებამდე ქმედებების განსახორციელებლად.
2	პერსონალური მონაცემები, მოთხოვნილი ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, რომელსაც ექვემდებარება კონტროლერი.	კანონმდებლობით გათვალისწინებული იურიდიული ვალდებულებების შესრულება, მათ შორის ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების პრევენცია, საგადასახადო ანგარიშგება (FATCA, CRS) და საერთაშორისო მარეგულირებელ მოთხოვნებთან შესაბამისობა.	დამუშავება აუცილებელია კონტროლერის იურიდიული ვალდებულებების შესასრულებლად საქართველოს კანონის №3144-XIმს-Xმპ შესაბამისად; საერთაშორისო ურთიერთობებში – შესაბამისი უცხოური კანონმდებლობის საფუძველზე
3	პერსონალური მონაცემები, მოთხოვნილი შესაბამისი უცხო ქვეყნის რეგულირების მოთხოვნებით, ხელშეკრულებებით ან სამართლებრივი დავის ბუნებიდან გამომდინარე.	კონტროლერის ან მესამე მხარის კანონიერ ინტერესებზე დაფუძნებული დამუშავება, რომლებიც მონაწილეობენ კლიენტისთვის მომსახურების გაწევაში (ბროკერი, დეპოზიტარი, კასტოდიანი, ბანკი) – უცხო ქვეყნის რეგულირების მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (განსაკუთრებით აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, სნგ-ის ქვეყნების და სხვა სახელმწიფოთა კანონმდებლობის შესაბამისად, მათ შორის FATCA). ასევე კონტროლერის კანონიერ ინტერესებზე დაფუძნებული კონტრაქტების შესრულება და იურიდიული პრეტენზიების დაცვა.	დამუშავება აუცილებელია კონტროლერის ან მესამე მხარის კანონიერ ინტერესთა მიზნებისთვის. აღნიშნული ინტერესები აღწერილია მეორე სვეტში.
4	საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის სახელი და ელ. ფოსტის მისამართი.	ფინანსური პროდუქტებისა და მომსახურების (მათ შორის პირდაპირი მარკეტინგის) და მათთან დაკავშირებული სერვისების მარკეტინგი (სავაჭრო პლატფორმები, საბაზრო მონაცემთა მომსახურება და სხვ.).	სუბიექტმა მისცა თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე აღნიშნული მიზნებისთვის.
5	კლიენტის პერსონალური მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის მიერ არ აღიარებულა მონაცემთა დაცვის ადეკვატურ დონედ. მონაცემები გამოიყენება FATCA-ს მოთხოვნების შესასრულებლად (სახელი, მოქალაქეობა, მისამართი, დაბადების თარიღი, საგადასახადო რეზიდენცია, TIN, ანგარიშის ინფორმაცია, ბალანსი, შემოსავალი, დაკავებული გადასახადები და სხვ.).	FATCA-ს მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა კომპანიისა და მისი პარტნიორი ინსტიტუტების მიერ (როდესაც FATCA მოქმედებს საქართველოს და აშშ-ის შორის შეთანხმების ფარგლებს გარეთ).	სუბიექტმა მისცა თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნისთვის. იმ შემთხვევაში, როდესაც გადაცემა აუცილებელია ხელშეკრულების შესასრულებლად, მონაცემები შეიძლება გადაეცეს თანხმობის გარეშე.

№	პერსონალური მონაცემები / კონკრეტული ოპერაცია	მიზანი	სამართლებრივი საფუძველი
6	პერსონალური მონაცემები, მოთხოვნილი ევროკავშირის, აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობით.	კონტროლერის მიერ კანონმდებლობით განსაზღვრული იურიდიული ვალდებულებების შესრულება (მათ შორის AML/CFT, MiFID II, MiFIR, FATCA, CRS, Market Abuse და სხვა).	დამუშავება აუცილებელია იურიდიული ვალდებულებების შესასრულებლად.
7	პერსონალური მონაცემები, მოთხოვნილი შესაბამისი უცხო ქვეყნის რეგულირების მოთხოვნებით, ხელშეკრულებებით ან სამართლებრივი დავის ბუნებიდან გამომდინარე.	კონტროლერის, სუბიექტის ან მესამე პირების კანონიერ ინტერესებზე დაფუძნებული დამუშავება, მათ შორის საინვესტიციო და შესაბამისი მომსახურების გაწევის მიზნით დადებული კონტრაქტების შესრულება, უცხო რეგულაციების დაცვა და იურიდიული უფლებების რეალიზაცია.	დამუშავება აუცილებელია კონტროლერის ან მესამე მხარის კანონიერ ინტერესთა მიზნებისთვის.
8	სუბიექტის მონაცემების გადაცემა მესამე ქვეყნებში, რომლებიც ევროკავშირის მიერ არ არიან აღიარებულნი მონაცემთა დაცვის ადეკვატურ დონედ.	კანონიერ ინტერესებზე დაფუძნებული დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია იურიდიული პრეტენზიების დაცვის ან რეალიზაციის პროცესთან (GDPR-ის მუხლი 49).	სუბიექტმა მისცა თანხმობა მონაცემთა დამუშავებაზე ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნისთვის.
9	პერსონალური მონაცემები, მოთხოვნილი ევროკავშირის ან წევრი ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად.	იურიდიული ვალდებულებების შესრულება, მათ შორის AML/CFT, საბაზრო მანიპულაციების პრევენციის და სხვა კანონმდებლობის შესაბამისად.	დამუშავება აუცილებელია კონტროლერის იურიდიული ვალდებულებების შესასრულებლად.
10	პერსონალური მონაცემები, რომლებიც საჭირო არის შესაბამისი მიზნების მისაღწევად.	ხელშეკრულების დადება/შესრულება სუბიექტსა და კომპანიას შორის და კონტროლერის ან მესამე მხარის კანონიერ ინტერესებზე დაფუძნებული დამუშავება, რომელიც დაკავშირებულია იურიდიული პრეტენზიების დაცვასთან და მომსახურების გაწევასთან.	დამუშავება აუცილებელია კონტროლერის ან მესამე მხარის კანონიერ ინტერესთა მიზნებისთვის.